



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №3

10/10/2022 წელი

ქ. ბათუმი  
12<sup>00</sup> საათი

**სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალაღონია.

**სხდომას ესწრებოდნენ:** ნოდარ მელაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე მარიამ გუგუნივა, ციალა შავაძე, ზაალ ზაალიშვილი და თამარ ქამადაძე.

**მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

**დღის წესრიგის პროექტი:**

**1. განკარგულება**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**2. განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ;

**3. სხვადასხვა.**

**აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

## კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

## დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

### 1. განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

### 2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ;

### 3. სხვადასხვა.

#### 1. განკარგულება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

#### მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი, პარმენ ჯალაღონიას განმარტებით, 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში (დანართში) ცვლილება გამოიწვია 2022 წლის 27 ივნისს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ, რომლის თანახმად, არასაარჩევნო პერიოდში უსკოს შედეგება თავმჯდომარისა და 7 წევრისგან, უმაღლეს საარჩევნო კომისიას ამ ცვლილებით დაემატა 2 კომისიის წევრის პოზიცია, რომლებსაც უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე უნდა მიეცეთ შრომის ანაზრაურება და სწორედ ამ პოზიციებისათვის განკუთვნილი თანხა და შტატი ემატება საშტატო ნუსხას.

#### **აზრი გამოთქვას:**

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე 8;  
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

#### **მიღებულია განკარგულება:**

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და უსკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 27 დეკემბრის №5 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს, თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

*(თან ერთვის)*

## 2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ.

### მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს გააცნო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი.

### აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი:)

### მიღებულია განკარგულება:

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 84<sup>1</sup> და 84<sup>2</sup>

მუხლების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის თანდართული წესი.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აპრილის №1 განკარგულება.

3. ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 1 ნოემბრიდან.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

*(თან ერთვის)*

### 3. სხვადასხვა.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალალონია

კომისიის მდივანი

ტარიელ გოგიტიძე